



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე

წევრები:

თამარ ხეჩიკაშვილი - წევრი;

ირმა ქურდაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

აკაკი სადუნიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებები;

ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი - უცხოური ენები;

ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდა;

გიორგი ხომასურიძე - ტექნოლოგიები;

ელისო ვადაქარია - სახელმწიფო ენა;

ლიანა კობესაშვილი - მათემატიკა;

მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტი;

შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402598

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი საჩხერე
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ N1
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.sachkhere2.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sachkhere2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577942200

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 02 აგვისტოს MES 8 24 0000937026 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 29 და 30 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ N1, ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ N1, ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საჩხერე, ლაშა ლაშხის ქ N1, ერთ მისამართზე, ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ერთდროულად მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, ვინც ბრძანებით იყვნენ გამოყოფილი ექსპერტთა ჯგუფთან სამუშაოდ, კიდევ ერთხელ გავიარეთ დღის წესრიგით განსაზღვრული აქტივობები, და დავუდასტურეთ, რომ ვიზიტი წარმოდგენილი რეჟიმით განხორციელდებოდა. ამასთანავე, გავაცანით საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების განრიგი. სკოლამ საგნობრივ ექსპერტებთან დისტანციურად ჩართვისთვის გამოყო ცალკე სივრცე, რომელშიც ზოგადი განათლების ექსპერტი-წევრი განტავსდა. ვიზიტი ორივე დღეს წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი

დაწყებითების ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაამუშავა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლის მიერ დაწყებით კლასებში შემავალი საგნების (ქართული ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, მათემატიკა) შესახებ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია. მოამზადა შეკითხვები მასწავლებლებთან ინტერვიუსთვის.

შესაბამისი საგნების ექსპერტებთან ერთად გაესაუბრა ზემოხსენებული სკოლის მასწავლებლებს. მიიღო მონაწილეობა შესაბამისი საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების (ქართული ენა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება) დასკვნების მომზადებაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროექტში/პროგრამაში და საგრანტო კონკურსებში. სკოლის მიერ წარმოდგენილია ბოლო 2 ათეული წლის მანძილზე ამ მიმართულებით აქტიურობის ამსახველი ნუსხა, მათ შორისაა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს კონკურსში მასწავლებელთა საუკეთესო ათეულში და ხუთეულში მოხვედრის ფაქტიც. გარდა ამისა, წარმოდგენილია სპორტის მიმართულებით მოსწავლეთა წარმატების მიღწევის ამსახველი აქტივობებიც და სხვა.

სკოლის გამორჩეული პრაქტიკა შეიძლება დავყოთ რამდენიმე მიმართულებად:

➤ პროფესიული განათლება

სკოლაში 2017 წლიდან იწერება მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა განათლების სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და საზოგადოებრივი კოლეჯების მხარდაჭერით. სკოლაში მოსწავლეები ეუფლებიან პროფესიულ განათლების საწყის უნარ-ჩვევებს შემდეგი მიმართულებებით:

1. კულინარია
2. კონდიტერია
3. ელექტრობა
4. სამკერვალო საქმე
5. ექთანი
6. დურგალი
7. IT სპეციალისტი
8. მეზაღეობა

აღნიშნული მიმართულებებით სკოლა წარმოადგენს რაიონულ ჰაბს, სადაც პროფესიებს ეუფლებიან საჩხერის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების VIII-XII კლასების მოსწავლეები. სკოლა პროგრამის ფარგლებში აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და ინფრასტრუქტურით. პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლა ჩართულია აზიის განვითარების ბანკის პროექტში, რომლის ფარგლებში სკოლა დაიწყებს მომზადება - გადამზადების პროგრამების განხორციელებას და რეაბილიტაცია

ჩაუატარდება ინფრასტრუქტურას. პროფესიული პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის სკოლას მიღებული აქვს არაერთი სერთიფიკატი და მაღლობის სიგელი განათლების სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოსგან.

პროფესიულ განათლებასთან ერთად სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან **მეწარმეობის უნარ-ჩვევებს**. ორგანიზაცია junior achievement-თან თანამშრომლობის ფარგლებში სამკერვალო მიმართულებით დაარსებულია მოსწავლეთა კომპანია - „მწვანე მეწარმეები“. მოსწავლეები აწარმოებენ ჩანთებს და თეთრეულს, ხოლო მეორე კომპანიაში -shining star- გაწევრიანებული მოსწავლეები - ხელნაკეთ ნივთებს. კომპანიებს მიღებული აქვთ გაყიდვების სერთიფიკატები.

➤ არაფორმალური განათლება

სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს არაფორმალური განათლება. უკვე 10 წელია სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს კლუბები, წრეები, ხორციელდება არაერთი პროგრამა და პროექტი. დისტანციური სწავლის პერიოდშიც კი არ შეუწყვეტია სკოლას ამ მიმართულებით მუშაობა, პანდემიის დაწყებიდან ერთ თვეში სკოლამ შეიმუშავა სასკოლო კლუბების დისტანციური მართვის გეგმა, რომელიც წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში. ამ მხრივ სკოლამ გამოცდილება გავუზიარა ყველა დაინტერესებულ პირს სახელმძღვანელოში „დისტანციური სწავლების მართვა (პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის)“. „არაფორმალური განათლების როლი დისტანციური სწავლების დროს, გვ.87,“ საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია, 2021 <https://bit.ly/3vaSbvl>

➤ STEM პოლიტიკა

STEAM კლუბი, სადაც VII-XII კლასების მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი პროექტები:

- ელექტროლიზი ელექტროლიტებში
- გალვანური ელემენტი
- გრაფიტის ფორტეპიანო
- ატმოსფეროში მავნე გაზების აღმომჩენი მოწყობილობა
- გარე განათების სისტემა
- ლაბირინთში მავალი რობოტი
- შავ ხაზზე მავალი რობოტი
- ხმაზე მორეაგირე ნათურა
- გამტარომეტრი
- წნევის სენსორი
- ეკომეგობრული წებო

STEM კლუბში განხორციელებულ პროექტებს არაერთი წარმატება აქვს მოპოვებული ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. 2023 წლის ვარშავის სამეცნიერო პიკნიკი გახსნეს სკოლის STEM კლუბის მოსწავლეებმა

➤ **სხვადასხვა კლუბები:**

Interact-ის საერთაშორისო კლუბი - კლუბში განხორციელდა საერთაშორისო პროექტები სხვადასხვა მიმართულებებით: ეკოლოგია, ტურიზმი, მდგრადი განვითარების მიზნები, ქართულ-ებრაული ურთიერთობები და სხვა;

TECH კლუბი - კლუბში მოსწავლეები ეუფლებიან გრაფიკულ დიზაინს, პროგრამირების ენას;

რობოტიკის კლუბი - კლუბში IV-VII კლასელი მოსწავლეები ეუფლებიან რობოტიკის საწყის ელემენტებს;

სამოქალაქო განათლების კლუბი - კლუბის მოსწავლეები ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც სკოლებში არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული: გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა, მრავალფეროვნება, თანასწორობა განათლება, სკოლის რადიოკვანძის მოწყობა, მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება;

რობოტიკისა და ტექმეწარმეობის სკოლა - 5 უფროსკლასელი მოსწავლე დაეუფლა გრაფიკული დიზაინის, ბლოკური პროგრამირების, არდუინოს პროგრამირებისა და რობოტიკას. ტრენინგები გავლის შემდეგ მათ უმცროსკლასელებისთვის ჩამოაყალიბებს კლუბები და გაუზიარებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება V-VII კლასების მოსწავლეებს;

მეწარმეობის კლუბი - სკოლაში ჩამოაყალიბდა მოსწავლეთა კომპანია, რომელიც აწარმოებს სამკერვალო ნაწარმს: ჩანთები, საოჯახო თეთრეული, წინსაფრები;

ეკონომიკის კლუბი - კლუბი ჩამოაყალიბდა ISET-თან თანამშრომლობით. მოსწავლეების ეუფლებიან ეკონომიკის საფუძვლებს;

დებატების კლუბი - კლუბში გაწევრიანებული არიან IX-XI კლასების მოსწავლეები. ისინი ეუფლებიან დებატების ხელოვნებას და წარმატებით მონაწილეობენ რეგიონულ და ეროვნულ ტურნირებში. სკოლა ჩართულია საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის - GIDE - პროექტში;

სკოლის ტელევიზია S-TV და ჟურნალისტიკის კლუბი - კლუბი ჩამოაყალიბდა მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტის საფუძველზე, რომელიც დაფინანსდა 1500 ლარით USAID სამოქალაქო განათლების მცირე გრანტების პროგრამაში. ჟურნალისტიკის კლუბში გაწევრიანებული არიან VII-XI კლასების მოსწავლეები, ისინი ეუფლებიან ჟურნალისტიკის საფუძვლებს და ამზადებენ სიუჟეტებს სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე;

სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს **სპორტის მიმართულებით რამდენიმე წრე**: ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის. იმართება სპორტული ფესტივალები.

კლუბებში ჩართულ მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს ასევე საზაფხულო ბანაკებს.



- წიგნიერების სწავლება ქართული და ინგლისური ლიტერატურის საშუალებით და სკოლის შესაბამისი პოლიტიკა.

მასწავლებლების გამორჩეული პროექტიკა

- სკოლის სამი მასწავლებელი (ინგლისური, ქიმია, ბიოლოგია) არის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეულის წევრი (2017, 2018, 2024 წლებში)
- სკოლის დირექტორი არის ლიდერობის ეროვნული პრემიის გრანპრის მფლობელი (2020)
- სკოლას მოპოვებული აქვს 150 000 ლარამდე გრანტი კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად

სკოლა გასულ წელს ჩართული იყო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამები:

- 1) USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა, რომლის ფარგლებში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების კლუბში განხორციელებული პროექტების გამო სკოლამ მიიღო ლიდერი სკოლის სტატუსი და დაჯილდოვდა ტექნიკით; ასევე სკოლამ მიიღო იმერეთი „დემოკრატიული სკოლის“ ტიტული;
- 2) USAID/RTI საბაზისო განათლების პროგრამა;
- 3) ევროსაბჭოს პროგრამა - დემოკრატია იწყება სკოლაში, პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად ჩაერთო სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავებაში და მოამზადა რეკომენდაციები;
- 4) Sch's great – IREX-ის პროექტი, რომლის ფარგლებში სკოლაში მოეწყო საგანმანათლებლო ფესტივალები გენდერული თანასწორობის მიმართულებით. სკოლამ პროექტის ფარგლებში მოიპოვა 2 მცირე გრანტი პროექტებისთვის „სპორტი ყველასია“, „მოზარდობის ასაკის თავისებურებები“;
- 5) „EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტერეოტიპებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“-CCIR - პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს სოციალური რეკლამა <https://www.youtube.com/watch?v=uFNrTo6JNe8> და დაჯილდოვდნენ ფოტოაპარატით;
- 6) ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია;
- 7) კონრად ადენაურის ფონდის პროექტი „ევროპის გზა“;
- 8) ამერიკი მშვიდობის კორპუსის მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამა, სკოლაში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში სკოლამ განახორციელა პროექტი „ბავშვის უფლებები“, რომელიც დაფინანსდა 5000 დოლარით. აქტივობები ხორციელდებოდა როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით;



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება



	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 750	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;

საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (17.09.2025-მდე) უზრუნველყოს: ეტლით მოსარგებლე პირებისთვის პირველი სართულიდან მეორე სართულზე გადაადგილების საშუალების მოაწყოება
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	ხედვა მეტად შეუსაბამოს მისიას
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან	სკოლას ეძლევა რჩევა შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, ასევე მათი განხილვა დამტკიცების ოქმებში აღნიშნული წლები და შეუსაბამოს ერთმანეთს



	თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას ეძლევა რჩევა: თითოეული აქტივობის მიხედვით დააკონკრეტოს აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	სკოლას ეძლევა რჩევა: კონკურსის ჩატარების დოკუმენტებში შეიტანოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებები
ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას ეძლევა რჩევა: პირდაპირ განსაზღვროს სკოლის მმართველობითი პროცესები და მმართველობითი ერთეულებიდან ამოიღოს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო.



ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლას ეძლევა რჩევა იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას	სკოლას ეძლევა რჩევა აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი
ინდიკატორი N3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას ეძლევა რჩევა: ვებ-გვერდზე დაამატოს პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა და სიახლეების გვერდზე ატვირთოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სასურველია დაწყებითი საფეხურის სპორტის კურიკულუმებს დაემატოს თემები, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და თემების შესაბამისი საკითხები გაწერონ 1-6 კლასში ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით. (ჰიგიენა, სწორი/ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მანვე ჩვევები, უსაფრთხოება.)
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სწავლა - სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით ეფექტიანი იქნება უფრო ნათლად გამოჩნდეს თემატური ბლოკი, თემა, საკითხი, ცნება, დავალების პირობა. მუსიკის საგანის კურიკულუმის ჩარჩოში არის აქტივობების ველი, სადაც კათედრამ უნდა ასახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და დააზუსტოს აქტივობები. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში- დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხი, რომელსაც შეეხება შუალედური მიზანი.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალეობის და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეფასების რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები უფრო დაიხვეწოს და მეტად დაუხლოვდეს/დაემიზნოს საგნობრივ ცნებებს.



ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი,	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრების წინაშე, აღნიშნული რეფლექსიისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სასურველია, საბაზო საფეხურის სპორტის კურიკულუმებს დაემატოს თემა ოლიმპიზმი, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება (ჯანსაღი ცხოვრების წესი) და შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადებზე; ქართველი ოლიმპიელები; ზამთრის ოლიმპიადა; პარალიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სკოლის აათობრივი ბადის მიხედვით მე- 9 კლასში, საგან მუსიკას პირველ სემესტრში ეთმობა ორი კვირეული საათი, შესაბამისად, კურიკულუმის შედგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი თემის ფარგლებში, იმ რაოდენობის საკითხების დამუშავება, (არა 4 საკითხის) რაც რეალურ კავშირში იქნება საათობრივ დატვირთვასთან და დრო შესაბამისად გადანაწილდება მეორე სემესტრის დარჩენილ თემებზე, სადაც მუსიკის საგანს ეთმობა ერთი კვირეული საათი.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სწავლა -სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით ეფექტიანი იქნება უფრო ნათლად გამოჩნდეს თემატური ბლოკი, თემა,საკითხი, ცნება/ცნებები, დავალების პირობა. კურიკულუმის ჩარჩოში არის აქტივობების ველი, სადაც კათედრამ უნდა ასახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და გაწეროს აქტივობები. ასევე დაკონკრეტდეს ძირითადი საკითხი, რომელსაც შეეხება შუალედური მიზანი. კათედრამ ასევე დააზუსტოს საბაზო საფეხურის კურიკულუმი ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით საგან მუსიკაში.



ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მუსიკის საგნის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალების და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეფასების რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები უფრო დაიხვეწოს და მეტად დაუბლოვდეს/დაემიზნოს საგნობრივ ცნებებს.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი,	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრების წინაშე, აღნიშნული რეფლექსიისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	10-12 კლასის სპორტის კურიკულუმში საკითხები გაიწეროს საფეხურის შესაბამისი ფორმულირებით და მოქმედება აისახოს აქტივობებში (არა ტექნიკა, არამედ ტექნიკის დახვეწა.) სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილი იყოს შუალედურ მიზნებთან დაკავშირებული კონტექსტები და შედარებები.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ცხრილში პროექტული დავალებების დოკუმენტაციაში სასურველია ჩანდეს სტანდარტით განსაზღვრული ცნებები -სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მუსიკის პროექტული კურიკულუმის ჩარჩოში არის აქტივობების ველი, სადაც უნდა აისახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და გაიწეროს აქტივობები.

ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები უმჯებესია კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სასურველია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შეფასების რუბრიკებში მოცემული ინდიკატორები უფრო დაიხვეწოს და მეტად დაუხლოვდეს/დაემიზნოს საგნობრივ ცნებებს.
ინდიკატორი 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი,	სასურველია სასწავლო წლის ბოლოს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა განხორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, ასევე დაწყებითი კათედრის წევრების წინაშე, აღნიშნული რეფლექსიისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს სადიაგნოსტიკო წერის ინსტრუმენტი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა ყველა ხარვეზთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზებიდან ყველა ინდიკატორი, ერთის გარდა. გადავიდა სრულ შესაბამისობაში (3.1.2.3. და 4.2.4.1. ინდიკატორები), რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესრულების შესაბამისი ინდიკატორები. რაც შეეხება იმ ერთ ინდიკატორს (3.5.1.4.), რომელიც სრულად ვერ დაკმაყოფილდა, გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლის (შემდგომში „სკოლა“) მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (დასკვნის პროექტის დაწერის მომენტისთვის დასამტკიცებლად გამზადებულ ახალი ვერსიის პროექტს), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ხედვის, როგორც მისიის მიღწევის შუალედური მიზნის (მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზის) ჩამოსაყალიბებლად კარგი იქნება, თუ სკოლა ხედვას მეტად შეუსაბამებს მისიას. კერძოდ, მისიაში საუბარია, თუ როგორი გარემოს არსებობის პირობებში, რა ტიპის და უნარების მოსწავლეს აღზრდიან (სკოლის მისიაა: სსიპ-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა პირველი საგანმანათლებლო კერაა ქალაქ საჩხერეში, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. სკოლა ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნით, ოჯახთან ერთად ზრუნავს: მოსწავლის უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე; კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების აღზრდაზე, რომელიც შეძლებს: თვითრეალიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, იცხოვროს დემოკრატიული პრინციპებით), ხოლო ხედვაში კი, აქცენტი გაკეთებულია **2030 წლისთვის როგორი ტიპის სკოლა სურთ, რომ ჰქონდეთ** (სკოლის ხედვაა: 2030 წლამდე დაიკავოს ლიდერი სკოლის პოზიცია, იზრუნოს სხვა

სკოლებისთვის გამოცდილების გაზიარებაზე: გახდეს STEAM მიმართულებების, წიგნიერების, ევროპული ენებისა და პროფესიული განათლების ჰაბი).

სკოლას ეძლევა რჩევა: ხედვა მეტად შეუსაბამოს მისიას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნა, ამასთან განსაზღვრული აქვს ოჯახის ჩართულობა. ეს გარემოება გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად ჩართო სასკოლო საზოგადოება. შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და მათი მუშაობის ამსახველი შეხვედრების ოქმები. ამ შეხვედრაზე ეწყობოდა განხილვები და ამის შემდეგ შეიმუშავეს მისიის ხედვის ღირებულებების სამუშაო ვერსიები (პროექტები).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ვერსია გაავრცელა სასკოლო საზოგადოებაში და სასკოლო საზოგადოებას ეთხოვა კითხვარზე გაეცა პასუხები, რომელიც ღია და დახურული კითხვების საშუალებით შეეძლოთ საკუთარი აზრის დაფიქსირება. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები და გაცემული პასუხები. სასკოლო საზოგადოებამ მოიწონა სამუშაო ვერსიის ფორმულირება მისიის ხედვისა და ღირებულებებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ სამეურვეო საბჭომ შეითანხმა მისიის ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიები. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დასახელება „სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა“ შეესაბამება მის სტატუსს და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი - <https://www.sachkhere2.edu.ge/> ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც ჩაწერილია, რომ „სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ან/და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, ის განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, ხოლო მიზნები ჩაშლილია ამოცანებად. სტრატეგიული დაგეგმვა სკოლამ განახორციელა swot ანალიზის საფუძველზე. ის წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. საგულისხმოა, რომ სტრატეგიულ გეგმაში აქტივობები მოიცავს 2024 კალენდარული წლიდან 2030 კალენდარული წლის ჩათვლით პერიოდს სულ 7 კალენდარულ წელს (2024, 2025, 2026, 2027, 2028, 2029, 2030). თუმცა სტრატეგიულ გეგმას აწერია და მისი განხილვისა და დამტკიცების ოქმებში (იხ. სამუშაო ჯგუფის N2, პედაგოგიური საბჭოს N2 და სამეურვეო საბჭოს N1 ოქმები) აღნიშნულია როგორც 2024-2031 წლების სტრატეგიულ გეგმად (თუ ამ წლებს კალენდარულად ჩავთვლით 8-წლიანი გამოვა). წლების ასეთი მითითება გამართლებული იქნება თუ სტრატეგიული დაგეგმვა მოიაზრება სასწავლო წლების მიხედვით (2024/25, 2025/26, 2026/27, 2027/28, 2028/29/, 2029/30, 2030/31) და შესაბამისად ასეთივე პერიოდის მომცველი იქნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც, მაგრამ ერთწლიან გეგმას აწერია 2024 (კალენდარული) წლის და აქტივობების განხორციელებაც იწყება და გაწერილია პირველიდან მეთორმეტე თვის ჩათვლით (მიუხედავად იმისა, რომ გეგმა თებერვალშია დამტკიცებული, სამოქმედო გეგმა იანვრიდან იწყება), თუმცა პედაგოგიურ საბჭოს N2 (01.02.2024) ოქმში ის მოხსენიებულია, როგორც 2023/24 სასწავლო წლის გეგმად, ამისგან განსხვავებით, სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით (02.02.2024) დამტკიცებული აქვს როგორც 2024/25

სასწავლო წლების სამოქმედო გეგმად. მართალია ვიზიტის დროს სკოლამ გამოასწორა ტექნიკური ხარვეზი სამეურვეო საბჭოს ოქმში და გადმოაგზავნა, მაგრამ სხვა ზემოთ აღწერილი დასაკორექტირებელია. **სკოლას ეძლევა რჩევა** შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, ასევე მათი განხილვა/დამტკიცების ოქმებში სამოქმედო გეგმების წლები და შეუსაბამოს ერთმანეთს

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2024 კალენდარული წლის სამოქმედო გეგმა (აქტივობები გაწერილია 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრამდე). მისი სტრატეგიული მიზნები და აქტივობები ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ swot ანალიზს. თუმცა გასათვალისწინებელია წინა ინდიკატორის აღწერა და სკოლისადმი მიცემული რჩევა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში (ასევე მათი შემუშავება/განხილვა/ დამტკიცების ოქმებში) წლების თანხვედრასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სკოლის მიერ საავტორიზაციო დოკუმენტაციაში არის 2023/24 სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტივობები გაწერილია 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის აგვისტომდე, და გამოდის, რომ 2024 წლის იანვრიდან აგვისტომდე სკოლა ორი პარალელური სამოქმედო გეგმით ხელმძღვანელობს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების ვადები და რესურსები. რესურსებში ყველგან მითითებულია ხოგადი ფორმულირება „არსებული რესურსები“. **სკოლას ეძლევა რჩევა** თითოეული აქტივობის მიხედვით დააკონკრეტოს აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ბრძანება „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი „შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ“;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

- სტრატეგიული გეგმა (2024 -2031 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024 წწ.).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასება, რომელსაც ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

- 2.....
- 3.....
- 4.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საჯარო სკოლის წესდების მე-3 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინური კომიტეტს. წესდებაში მოცემულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. გარდა ამისა სკოლის დირექტორის 2024 წლის 2 მაისის N2-45 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცი-მოვალეობები. ამ დოკუმენტში, ისევე, როგორც წესდებაში თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი, დამხმარე და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებას. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი - პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგია, ამოცანები, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, კადრების მოზიდვა და შერჩევა, თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შესრულებული სამუშაოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება, პროფესიული განვითარება, მოტივაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასკვნითი დებულებები. გარდა ამისა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რომელიც არ არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, აღწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/შენაცვლების პრაქტიკის განხორციელებისა მასწავლებელთან დაკავშირებით. მაგალითად მის მიერ გადმოგზავნილ საავტორიზაციო დოკუმენტაციაში არის მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების აქტივობების ამსახველი ჟურნალი. შინაგანაწესში არის მუხლი „სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი“, რომელიც პერსონალის მართვის პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის სასარგებლო რეგულაციებს შეიცავს. კერძოდ, აღწერს თანამშრომელთა ვალდებულებებს რა უნდა მოიმოქმედოს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუმცა არ არის აღწერილი რას გააკეთებს სკოლა პრევენციისა და ინტერვენციის გასახორციელებლად. კარგი იქნება სკოლამ აქვე აღწეროს ის რასაც გააკეთებს ჩანაცვლების და შენაცვლების უზრუნველსაყოფად (ანუ დაამატოს რეგულაციის სახით, ის რასაც ახორციელებს პრაქტიკულად). სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც განახორციელოს შენაცვლება/ჩანაცვლების არსებული პრაქტიკა. **სკოლას ეძლევა რჩევა** შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის სრულყოფისთვის დაამატოს რეგულაციები, რომელიც სკოლის აქტივობებს აღწერდა პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას დამტკიცებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი (2019 წლის 22 აგვისტო, ბრძ. N2-175), რომელიც “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების პირველადი ვერსიის შესაბამისია და არ ითვალისწინებს 174/ნ ბრძანებაში შესულ ცვლილებებს. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი წესი (ისევე როგორც 174/ნ ბრძანების პირველადი ვერსია) არ ითვალისწინებს სპეცმასწავლებლის კონკურსით შერჩევას, სამაგიეროდ ითვალისწინებს მოწვეული და შემცვლელი

მასწავლებლის შერჩევას კონკურსით, მაშინ, როცა 174/ნ ბრძანების მოქმედი რედაქცია სპეცმასწავლებლისთვის ადგენს კონკურსით შერჩევას მათთვის გათვალისწინებული წესით, ხოლო მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლები არ შეირჩევიან კონკურსის წესით. გარდა ამისა, სკოლის კონკურსის გამოცხადების წესში არ არის გათვალისწინებული საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების მოქმედი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, ხოლო საჯარო სკოლის კომისიის წევრად აგრეთვე უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილი საკონკურსო მასალების მიხედვით საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია მოქმედი წესის მოთხოვნების შესაბამისად. ანალოგიური სიტუაციაა სპეცმასწავლებლის კონკურსთან დაკავშირებით - სკოლა კონკურს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა დოკუმენტებში არ აქვს გაწერილი მოქმედი წესი. სკოლამ წარმოადგინა სპეცმასწავლებლის ვაკანსიის დოკუმენტები საიდანაც დასტურდება კანონმდებლობის შესაბამისი კონკურსის განხორციელება. **სკოლას ეძლევა რჩევა:** კონკურსის ჩატარების დოკუმენტებში შეიტანოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებები. სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღება, ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე გახსნილი რომლებშიც სრულყოფილად წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი. კერძოდ წარმოდგენილია განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კანონმდებლობით მოთხოვნილი „ნასამართლობისა“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის“ ცნობები, თუმცა ცნობა „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ“ 49 თანამშრომელზე აქვს წარმოსადგენი. ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დასკვნის პროექტში მითითებულ ცნობებთან დაკავშირებით, თანამშრომლების ცნობები, იმის შესახებ, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების შესახებ უფლება არ აქვთ ჩამორთმეული“ რის შედეგადაც ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა, სპეციალურ მასწავლებლის და ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, ასევე დაკმაყოფილებულია

საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანარჩენი თანამშრომლების შემთხვევაშიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტში „თანამშრომლების და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია კოლეგიური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. გადაწყვეტილებების მიღების წესი სკოლის წესდებაშია გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. სკოლამ წარმოადგინა პრემიის გაცემის ბრძანების რამოდენიმე ნიმუში, ასევე სკოლის მიერ თანამშრომლებისთვის გადაცემული სერთიფიკატები - მათთვის დაკისრებული მოვალეობების საუკეთესო შესრულებისთვის. რაც შეეხება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას, წარმატებული გამოცდილების გაზიარების დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების სკოლის გარეშე აქტივობებში მონაწილეობის, როგორც გარკვეული სახის წარმატების, დამადასტურებელი სერთიფიკატები და ფოტო მასალა, ასევე სკოლის მასწავლებლების (მათ შორის დირექტორის) მიერ წარმატებული გამოცდილების გაზიარება როგორც საგანმანათლებლო თემატიკის გამოცემებში ავტორობა და თანაავტორობა. სკოლას წარმატებული გამოცდილების გაზიარების შესახებ ჩაწერილი აქვს პერსონალის მართვის დოკუმენტში (მუხლი 16), სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია და ა.შ. წარმატების აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისა და ერთიანობის განცდისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლების და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები;
- პრემიის გაცემის ბრძანებები;
- სკოლის მიერ გაცემული სერთიფიკატები;
- წარმატებული გაზიარების ამსახველი მასალა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად შექმნილი ჰყავს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს და მომავალშიც განახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში მოხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა კიდევ გაკვეთილზე დასწრების შეფასება, მათ შორის, გაკვეთილი შეფასებულია პორტალ Tangerine-ზე. წარმოდგენილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერი ჯგუფის სხდომის ოქმი, რომელშიც სხვადასხვა მასწავლებლების განხორციელებული აქტივობებია შეფასებული. რაც შეეხება დანარჩენი თანამშრომლების შეფასებას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლის თანახმად სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული საჭიროებების დადგენას. დოკუმენტს ნიმუშის სახით ერთვის ერთი თანამშრომლის შეფასების ე.წ. ჩეკლისტი. სკოლა გეგმავს განახორციელოს ყველა თანამშრომლის შეფასება მსგავსი ჩეკლისტებით, რომლებიც მათ ფუნქცია-მოვალეობების საფუძველზე შეიქმნება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.....

3. კარიერულ ზრდას და პროფესიულ განვითარებას სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს. გასული წლების პრაქტიკიდან ჩანს, რომ სკოლაში არაერთმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი, მათ შორის აღსანიშნავია 2 მასწავლებლისთვის განსაკუთრებული წესით სტატუსის მინიჭება, რომლის დროსაც სკოლა წარადგენს კანდიდატებს მინისტრის წინაშე. საჯარო სკოლების დაფინანსების ცვლილებასთან დაკავშირებით ტრენინგი გაიარეს სკოლის დირექტორმა და ბუღალტერმა; გათბობის სისტემის ცვლილების გამო გადამზადება გაიარა ცეცხლფარეშმა; თითოეულ შემთხვევაში სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება მისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზებით, ინფორმაციის დროულად მიწოდება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მე-7 - მე-9 მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები და სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები. რეგულაციის მიხედვით დადგენილია ადაპტაციის სამი ეტაპი: 1) მოლოდინები; 2) შეხვედრა; 3) „ოჯახის წევრობა“. ადაპტაციის აქტივობები მოიცავს სკოლის დათვალიერებას, სკოლის ორგანიზაციული კულტურის, სასკოლო დოკუმენტაციის და მისი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, ასევე მისი წარდგენა სხვა თანამშრომლებთან და მისი ჩართვა სხვადასხვა ვირტუალურ ქსელებში და ჯგუფებში, მათ შორის ელექტრონულ ჟურნალში, Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში. ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს კათედრის თავმჯდომარეს, დირექტორის მოადგილეს და საქმისმწარმოებელს. რეგულაციაში გაწერილია მათი მოვალეობები ამ პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ აქტივობებს. სკოლას ჰყავს წარმატებული ადამიანური რესურსი, თითოეულ კათედრაზე რამდენიმე წარმატებული მასწავლებელია, რომელიც წართულია, არამხოლოდ სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობებში, არამედ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზეც. სკოლა ცდილობს წახალისოს ასეთი აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა პრემიის გაცემის და სერტიფიკატებით დაჯილდოვების არაერთი მაგალითი, რითაც დასტურდება სკოლის მიერ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერი ჯგუფის ოქმები;
- გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- დირექტორის მიერ პრემიის გაცემის ბრძანებები;
- სკოლის მიერ გაცემული თანამშრომელთა სერტიფიკატები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (N2-55. 04.06.2024). დოკუმენტის მიხედვით სკოლაში მიმდინარე პროცესების შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის ერთ-ერთ- გავრცელებული ციკლის (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე) მიხედვით. დოკუმენტით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის და პროგრამების დაგეგმვა განხორციელებას, ასევე მათი განხორციელების შეფასებას, ასევე გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსის გაუმჯობესება, მათი შეფასების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრით. სკოლაში მიმდინარე სხვა პროცესებიც ექვემდებარება ამ ციკლის მოქმედებას. მაგალითად შემუშავებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი

სამოქმედო გეგმა და გათვალისწინებულია მათი შესრულების მონიტორინგი და მომავალ დაგეგმვაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და გადასინჯვა ბოლოს რევიზია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები“ (N2-57, 06.06.2024). დოკუმენტში აღწერილია ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესები მკაფიოდ და პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა აღწერილია მმართველობითი ერთეულები (სკოლის სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; სკოლის დირექცია; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი; მრჩეველთა საბჭო) და მოცემულია ზოგიერთი მათგანის უფლება-მოვალეობები სკოლის მართვისას, არ არის აღწერილი მოსწავლეთა თვითმმართველობის და მრჩეველთა საბჭოს უფლება მოვალეობებისა. ეს გასაგებიცაა, რადგან ეს სტრუქტურული ერთეულები (მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო) არ ახორციელებენ სკოლის მართვას, მათ მხოლოდ ინიციატივებისა და რეკომენდაციების გამოთქმის მოვალეობები აკისრიათ. **სკოლას ეძლევა რჩევა:** პირდაპირ განსაზღვროს სკოლის მმართველობითი პროცესები და მმართველობითი ერთეულებიდან ამოიღოს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის წესდების მე-5 მუხლის, 1-ლი, თ) ქვეპუნქტის მიხედვით სამეურვეო საბჭო განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის მ) ქვეპუნქტის მიხედვით სკოლის დირექტორი გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს; წესდების მე-15 მუხლი განსაზღვრავს მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჩივრის განხილვის ზოგადი რეგულაციები (როდის იხილავს საჩივარს დირექტორი, როდის სამეურვეო საბჭო) და ვადები, ასევე რეკვიზიტები, თუ რა შემთხვევაში არ განიხილება საჩივარი, თუ საჩივარში არ არის მითითებული რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ (N2-59, 10.06.2024). დოკუმენტში აღწერილია მათი უფლებები და მითითებულია, რომ თუ მათი კანონიერი უფლებების გასაჩივრების შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს ან/და დირექტორის მხრიდან არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა და კვლავ თვლიან, რომ მათი უფლებები ირღვევა უფლება აქვთ მიმართონ რესურსცენტრს. რესურსცენტრის

გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად მითითებულია განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო; თუ თვლიან რომ ირღვევა ავტორიზაციის პირობები - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პედაგოგებს/სკოლის პერსონალს, ასევე უფლება აქვთ მიმართონ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს ან/და სასამართლოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი ერთეულები, პროცესები და მათი აღმწერები“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის წესდება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ხერხებს იყენებს. ერთ-ერთ საშუალებად იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, ასევე სკოლის/კლასების სოციალურ ქსელს, გამოიყენება სკოლის ვებ-გვერდი. გარდა ამისა კლასების მიხედვით ხდება ინფორმაციის გაცემა და უკუკავშირის მიღება მშობელთა კრებებზე, მაგალითად „არჩევითი საგნების“ შერჩევის პროცესში. ასევე წარმატებით გამოიყენება სატელეფონო ინფორმირების ხერხი, ნაკლებად, მაგრამ გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. სკოლამ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს უკუკავშირები მიიღო გუგლის დისკზე (google drive) შექმნილი გამოკითხვის ფორმებიდან, სკოლის შეფასების სისტემის დანერგვის შესახებ - ინტერვიუს საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია



2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში და დასტურდება ამ სტრუქტურული ერთეულების შეხვედრების ოქმებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები და მათი შეხვედრების ოქმები;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა გუგლ დისკის საშუალებით - ეკრანული ანაბეჭდები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა) სკოლას ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამეურვეო საბჭოს დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების პოლიტიკა“, ხოლო სკოლის დირექტორს - „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება (N2-56, 05.06.2024);
- ბ) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საიდანაც მიღებული აქვს 09/07/2024, MIA 8 24 02063114 შეტყობინება;
- გ) სკოლის აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (2024 წლის 11 ივლისის N851655 წერილი)

დ) სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა N003736924.

ე) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას ეძლევა რჩევა** იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი. პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/5/01-23/5 ბრძანებით - და მისი მოთხოვნათა დაცვით განთავსებულია ექიმის კაბინეტი. კაბინეტი აღჭურვილია სათანადოდ და ექიმი აწარმოებს დოკუმენტაციას, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის 06/5 ბრძანებით დამტკიცებულ წესს. სკოლას ჰყავს მანდატური. შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/5 ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”, ბრძანების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულებაში არის მუხლი 9 - „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, სადაც ასახულია სკოლის შენობის ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური და გენერალური დასუფთავების მოთხოვნები. სკოლის ექიმმა ინტერვიუს დროს ისაუბრა, რომ კონტროლს უწევს დამლაგებლების მიერ შენობის დასუფთავების ხარისხს და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლა დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (N2-49, 28.05.2024). სკოლას არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **სკოლას ეძლევა რჩევა** აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულებაში არის მუხლი 10 - „ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები“, სადაც ასახულია ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული სასკოლო რეგულაციები. გარდა ამისა, განსაზღვრულია, რომ წელწადში მინიმუმ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი დამტკიცების სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი;
- „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, 09/07/2024, MIA 8 24 02063114 შეტყობინება;
- სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;



- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა N003736924;
- ექიმის პირადი საქმე;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და მათი საქმიანობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია ჭავჭავაძის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლამ, შენობის ფლობის დამადასტურებლად წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 35.01.42.030), მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა მოსარგებლეა არსებობის ვადით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართობით 11492.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: – N1 საერთო ფართობი-3475.30 კვ.მ. N2 განაშენიანების ფართი-66.0 კვ.მ. N3 განაშენიანების ფართი-76.0 კვ.მ. სკოლას გარკვეული ფართი გაცემული აქვს იჯარით, 3 წლის ვადით, რომელიც არ არის საჯარო რეესტრის ამონაწერში დარეგისტრირებული თანახმად საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტისა. **სკოლას დასკვნის პროექტში მიეცა რჩევა:** უზრუნველყოს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში დარეგისტრირებას საჭიროებს ბუფეტის იჯარის შესახებ ჩანაწერი. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოდგენია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც ჩანს, რომ სკოლამ უკვე გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და იჯარა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში.**

სკოლის ეზო შემოღობილია. შენობაში სულ 30 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, ქიმია-ბიოლოგია-ფიზიკის ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, საკონფერენციო (შეხვედრების) ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბუფეტი, სპორტული დარბაზი, პროფესიული პროგრამების განხორციელების ადგილები, სველი წერილები და სხვა დამხმარე ოთახები. სკოლას აქვს მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის მატერიალური რესურსი, მათ შორის ინდივიდუალური მერხები, კომპიუტერები და სასწავლო რესურსი. საკლასო ოთახები ნაწილი აღჭურვილია პროექტორებით და ტელევიზორებით. სკოლაში არის პრინტერები, 3D პრინტერი, პროფესიული პროგრამების (8 პროფესიული პროგრამა) განხორციელებისთვის საჭირო რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას დამკვიცებული აქვს მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი (N2-54, 04.06.2024). წესში გაწერილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, IT კაბინეტის, სპორტული ინფრასტრუქტურის, უცხოური ენების კაბინეტის, რესურსოთახის, სკოლის ბიბლიოთეკის თანასწორუფლებიანი გამოყენების პრინციპები და წესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკის დამხმარე, რომელიც სოციალური პროგრამითაა დასაქმებული. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და ასევე ბიბლიოთეკის დებულება. რომელშიც აღწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნები დალაგებული ანბანური წესით. საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში 4500 მხატრული, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული გრიფინიკებული სახელმძღვანელოები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები სქესის მიხედვით. ეზოდან პირველ სართულზე ასასვლელად გამოიყენება ლიფტი. თუმცა, იმ პირებისთვის, რომლებიც გადასადგილებლად იყენებენ ეტლს, პირველი სართულიდან მეორე სართულზე მოხვედრის შესაძლებლობა არ არის.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დასკვნის პროექტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიმართა წერილით (26/09/2024, MES4240001217679), რომელშიც სააგენტოს სთხოვს ფინანსური დახმარებას, სკოლის მეორე სართულზე პანდუსის მოწყობის მიზნით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლა ასევე იტყობინება, რომ აღნიშნული პანდუსის მოწყობის ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 17.09.2025 წელი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულ ვადაში პანდუსის მოწყობის შესახებ. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ხშირად გამოიყენება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ადგილად. სკოლის ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება დისკუსიები მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობით. სკოლაში ხდება შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მათ შორის მშობლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 35.01.42.030);

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო ელექტრონული წიგნი;
- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში არის 25 კომპიუტერი და 79 ლეპტოპი. სკოლას აქვს პრინტერები, ქსეროქსები და პროექტორები. ხელმისაწვდომია ინტერნეტი, მათ შორის უკაბელო ინტერნეტი. შენობის ერთ

ნაწილში დამატებით უკაბელო ინტერნეტთან წვდომის მოწყობის თხოვნით სკოლის სურვილზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საპასუხო წერილიდან (MES 2 23 0001772023, 27/12/2023) ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნება 2024 წლიდან. სკოლის ინფორმაციულ ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია ვებ-გვერდი, რომელიც ასევე ხელს უწყობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, მათ შორის IT-კაბინეტის სარგებლობის წესი. წესის მიხედვით IT კაბინეტის სარგებლობის უფლება აქვს მოსწავლეს მასწავლებელს და სკოლის სხვა თანამშრომელს. დადგენილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების წესები და განრიგი. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიზანია სკოლამ მასწავლებლების, მოსწავლეების და ადმინისტრაციისათვის უნდა შექმნას კომპიუტერებით უზრუნველყოფილი საზიარო სამუშაო სივრცეები, რომელიც ურთიერთ თანამშრომლობაზე ორიენტირებული გარემოს შენებას შეუწყობს ხელს. დოკუმენტში მოცემულია სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის სამუშაო მდგომარეობაში რამდენია და კიდევ დამატებით სად, რამდენი და რა სახის კომპიუტერული ტექნიკაა სკოლაში საჭირო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- წერილი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან MES 2 23 0001772023, 27/12/2023;
- სკოლის ვებ-გვერდი: <https://www.sachkhere2.edu.ge/>;
- მიღება-ჩაბარების აქტები ტექნიკაზე.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს “საქმისწარმოების წესი”. სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტი: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლებსაც სამი სარეგისტრაციო ჟურნალი აქვს: ა) საკადრო ბრძანებები; ბ) საერთო ბრძანებები; გ) მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების ბრძანებები. სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო echool.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა “სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა”. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. -----

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;



- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც, სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ-გვერდიდან უშუალოდ/პირდაპირი კომუნიკაციის შაშუალება არ არის, თუმცა, ვებ-გვერდზე არის სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ ინფორმაცია (მითითებულია სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი). მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია. რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებას ვებ-გვერდიდან, მართალია არის ღილაკი „სიახლეები“, მაგრამ ის ცარიელია და ვიზიტის პერიოდისთვის არ

შეიცავდა არც ერთი სახის ინფორმაციას. **სკოლას ეძლევა რჩევა:** ვებ-გვერდზე დაამატოს პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობა და სიახლეების გვერდზე ატვირთოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, არის სანდო და უტყუარი. რაც დასტურდება გამოქვეყნებული მასალისა და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალის ან/და ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციის შედარებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. -----

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია დევს ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის აქვს ვებ-გვერდი და ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ასევე არის ინდიკატორით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები. პირველადი ავტორიზაციის გამო ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები რომ არ არის ამით ინდიკატორის მოთხოვნა დარღვეულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი: <https://www.sachkhere2.edu.ge/>;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- დამტკიცებული შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებების დაცვა“ (N2-59, 10.06.2024). დოკუმენტის მიხედვით აღწერილია პერსონალის მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები. ამ უფლებების დაცვის გარანტია „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. დოკუმენტის მიხედვით სკოლა, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლობიერი ქმედებები. ამის მისაღწევად სკოლამ შეიმუშავა საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი განხილვის ეფექტიანი მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულებია დირექტორი, სამეურვეო საბჭო და სააპელაციო კომიტეტი. განსაზღვრულია საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, ჩართული მხარეების ინფორმირების წესები და ვადები. გასაჩივრების პროცედურები ეხება სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელს, მათ შორის მოსწავლესაც. დამატებით განხილულია მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული გასაჩივრების წესი. ამის გარდა, სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას ჰყავს ექიმი, მანდატური, დანიშნულია რეფერირების პროცედურების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. ყველა ეს პირი/სტრუქტურული ერთეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ერთ-ერთი ფიგურანტები არიან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სკოლის ვებ-გვერდზე და უზრუნველყოფილია მათი გამჭვირვალობა. ამ დოკუმენტების შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რითაც უზრუნველყოფილია გაზიარებულის ნაწილიც. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მეშვეობით ხდება ამ დოკუმენტების გაცნობა მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის. გარდა ამისა, მოსწავლეებს მათი უფლებების შესახებ ეცნობებათ ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით, ვიზუალიზაციის საშუალებებით და არა

კანონებისა და წესების ერთობლივი ჩამონათვალით. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სამინისტროს, მანდატურის, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც ტიპიურია საჯარო სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუშის, და რომელიც ყოველ სასწავლო წელს დაიდება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
- რეფერირების წესი;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ორი დოკუმენტი „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ (N2-61, 12.06.2024) და „მოსწავლის მობილობის წესი“ (2-60, 11.06.2024). დოკუმენტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, კლასის/საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის დაძლევის წესისა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ და „მოსწავლის მობილობის წესი“. სკოლა იცავს შემუშავებულ წესებს, რის დამადასტურებლად წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არაერთი პროექტი და მომსახურეობა ხორციელდება. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბებს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმით არის დადგენილი და პროფესიული უნარების განვითარების კურსებს. თითოეული მათგანის პირობების, ფასიანი/უფასო მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის ვებ-გვერდებზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე. გარდა ამისა ინფორმაცია ეგზავნებათ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელის შიდა ჯგუფებში. სკოლამ განაცხადა, რომ ყოველი ახალი პროექტისა თუ პროგრამის წამოწყების წინ, ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირებულობის მიზნით. პროექტებსა და კლუბებში რეგისტრაცია ხდება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით. აღნიშნული აქტივობები დარეგულირებულია კლუბების წესდებებით და სკოლის პოლიტიკის დოკუმენტებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა პროგრამების, მომსახურეობების და სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ

არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- „მოსწავლის მობილობის წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანებები;
- კლუბების დებულებები;
- პროფესიული მომსახურების სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (N2-08, 27.02.2024), რომელიც წარმოადგენს არა მარტო პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ მექანიზმს, არამედ სსსმ მოსწავლეთა და საფეხურიდან საფეხურზე გადასულ მოსწავლეთა მხარდამჭერ მექანიზმს. წესით განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნები; რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისთვის და დეზადაპტაციისას განსახორციელებელი ღონისძიებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.....

3. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს რემედიაციის წესი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმაში მოცემული რემედიაციის წესის ანალოგიურია. გარდა ამისა მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლას დადგენილი აქვს დიაგნოსტიკური წერები, რომლის მიზანის მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და შემდეგ შესაბამისი ინტერვენციების განხორციელებაა. ასეთივე მიზანი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზებსა და კომპლექსური დავალებების შემდეგ განმავითარებელი კომენტარების მიცემა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები იმ ტიპის მოსწავლეებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებს სკოლაში გამოცხადებას; მოსწავლეთა უფლებების რეალიზაცია უკავშირდება ასაკობრივი ექსტერნის გამოცდები, რომლის ჩატარების პრაქტიკა არის სკოლაში. ასევე, აღსანიშნავია ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოსწავლეთა ისეთი უფლებების გასახორციელებლად, როგორიცაა კლუბების შექმნა - სკოლაში შექმნილია რამოდენიმე კლუბი. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, მხარს უჭერს მოსწავლეთა სხვადასხვა ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი“ (N02-88. 01.07.2024). ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება პროფესიული პროგრამები, რომლებსაც შესაბამისი პროფესიული სასწავლებლებიდან მოწვეული სპეციალისტები ახორციელებენ სკოლის მასწავლებლებთან ერთად. სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა კლუბები და წრეები. კლუბებისა და წრეების ხელმძღვანელები სათანადო კვალიფიკაციის პერსონალია. გარდა ამისა, სკოლა გასულ სასწავლო წელს ჩართული იყო საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებში, ყველა შემთხვევაში აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური კადრის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მათ მამობლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ამის მაგალითია მოსწავლეთა თვითმმართველობის უკუკავშირის საფუძველზე შექმნილი კლუბების ფუნქციონირება. ასევე აღნიშვნის ღირსია სკოლაში მოქმედი პროფესიული პროგრამები (იხ 4.2.2.1. ინდიკატორის აღწერა), რომლებიც თავდაპირველად მშობელთა ინიციატივით დაიწყო, თუმცა დადებითი უკუკავშირის საფუძველზე, უკვე სკოლა გახდა უფრო დიდი მასშტაბის პროფესიული პროგრამების განხორციელების ინიციატორი. გარდა ამისა სკოლა სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს ხოლმე ე.წ. კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება. ასეთი უკუკავშირები ხშირია სკოლაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი წესი“ და მისი დამტკიცების ბრძანება;
- სასკოლო კლუბების დებულებები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებასა და კარიერულ დაგეგმვას. როგორც სკოლამ განაცხადა 2015 წელს მცირე გრანტების ფარგლებში, სკოლაში ჩამოყალიბდა „კულინარიის სკოლა“, რომელსაც მასწავლებლებთან ერთად ხელმძღვანელობდნენ მოხალისე მშობლები. პროექტი წარმატებით ხორციელდებოდა და დიდი ინტერესი გამოიწვია სასკოლო საზოგადოებაში. ამ გამოცდილების საფუძველზე, 2017 წლიდან პროფესიული უნარების სააგენტოს და პროფესიული კოლეჯების მხარდაჭერითა და განათლების სამინისტროს დაფინანსებით, სკოლაში აქტიურად ინერგება მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა. ამ მიმართულებით გაწეული ღვაწლისთვის სკოლას მადლობის სიგელი გადასცა განათლების სამინისტრომ. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეებში პროფესიული პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პოლიტიკის“ დოკუმენტი. სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმებული აქვს 5 პროფესიულ კოლეჯთან („იბერია“, „იკაროსი“, „სპექტრი“ „ITVET“, „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“), შესაბამისად, სკოლის მოსწავლეები 8 მიმართულებით ეუფლებიან პროფესიულ უნარებს:

1. კულინარია
2. კონდიტერია
3. ელექტროინჟინერია
4. სამკრევლო საქმე
5. სადურგლო საქმე
6. ექთნის საქმე
7. IT სპეციალისტი.
8. მეზღვაობა

